MEDIA PRIZE FOR CULTURAL DIVERSITY IN EASTERN EUROPE

2 ივლისი, 2018

პრეს-რელიზი

ADAMI მედია პრიზის პირველი ვადა ამოიწურა.

1 ივლისს ამოიწურა პირველი ვადა ADAMI მედია პრიზის 2018 წლის კონკურსზე განაცხადების შემოსატანად. ეს თარიღი ეხებოდათ იმ მასალებს, რომლებიც ეთრში გავიდა ან გამოქვეყნდა 2016 წლის 10 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე.

წელს, ანუ 1 იანვრიდან ეთერში გასული ან გამოქვეყნებული ვიდეო მასალებისთვის და ვებ-გვერდებისთვის კონკურსი კვლავ გრძელდება.

ADAMI მოუწოდებს ყველა ჟურნალისტს, რეჟისორს და სხვა აუდიო—ვიზუალური მასალების შემქმნელ პროფესიონალებს მოემზადონ შემდეგი ვადისთვის და შემოიტანონ განაცხადი.

ADAMI-ს კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა იწურება 1 ოქტომბერს, 2018 წლის.

შეგახსენებთ, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამაუწყებლო კომპანიებს, მედია პროფესიონალებს, ჟურნალისტებს, პროდიუსერებსა და რეჟისორებს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

„ADAMI მედიის პრიზი“ განკუთვნილია საუკეთესო სატელევიზიო, კინო და ონლაინ პროგრამებისთვის, რომლებიც ეხება მიგრაციის, ინტეგრაციის, ასევე ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული მრავალფეროვნების საკითხებს.

„ADAMI მედიის პრიზი“ იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას წარმოაჩინოთ თქვენი აუდიო-ვიზუალური ნამუშევრები ფართო ასპარეზზე და გახდეთ საერთაშორისო მედია-კლუბის წევრი.

კონკურსის ექვსივე ნომინაციაში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით. გარდა ძირითადი პრიზებისა, ADAMI გთავაზობთ სრულად დაფინანსებული სტიპენდიის მიღებას ერთთვიანი სტაჟირებისთვის ევროპის უმსხვილეს ტელეკომპანიებში - Arte (სტრასბურგი, საფრანგეთი), MDR (ლაიფციგი, გერმანია), DeucheWelle (ბერლინი, გერმანია). ამისათვის საჭიროა ფლობდეთ შესაბამისად ფრანგულ, გერმანულ ან რუსულ ენას.

ADAMI მედიის პრიზი გაიცემა ექვს კატეგორიაში:

1. ADAMI მედიის პრიზი გასართობი პროგრამებისთვის (მხატვრული)
2. ADAMI მედიის პრიზი ინფორმაციისთვის (არამხატვრული)
3. ADAMI მედიის პრიზი ახალი ამბებისა და მოკლემეტრაჟიანი არამხატვრული ფილმებისთვის
4. ADAMI პრიზი ახალგაზრდა ადამი
5. ADAMI პრიზი ვებ-გვერდებისთვის
6. ADAMI პრიზი ინტერნეტ ვიდეოებისთვის

მეტი ინფორმაციისთვის და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ- გვერდს.

ნომინანტების შესარჩევად საერთაშორისო ჟიური შეიკრიბება 2018 წლის ოქტომბერში, ოდესაში (უკრაინა). გამარჯვებულები დასახელდებიან დაჯილდოების გალა ცერემონიალზე 2018 წლის ნოემბერში ქ.კიშინიოვში (მოლდოვა). დაჯილდოების ცერემონიალი პირდაპირ ეთერში გადაიცემა კონკურსში მონაწილე ქვეყნების ტელევიზიებში.

ADAMI მედიის პრიზი დაფინანსებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პროკრედიტ ჰოლდინგის მიერ (გერმანია).

ADAMI კვლავ ელის თქვენს განაცხადებს!

ADAMI მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში

მისამართი: ე. გაბაშვილის 14, ქ. თბილისი 0108 საქართველო , Tel.: +995 32 2984072

მედიასთან ურთიერთობა: communications@adamimediaprize.eu

რეგისტრაცია: registration@adamimediaprize.eu ვებ-გვერდი: www.adamimediaprize.eu